სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

---

დესპინე კონსტანტინეს ასული გუგუშვილისა და კლიმენტი კონსტანტინეს ძე თოფურიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის ქმრისა და მეორე სიძისა

**კონსტანტინე ნიკ.-ძე გუგუშვილისა**

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებაზე მისი სადგომიდან, ნოვო ალექსანდროვსკი ქუჩიდან რკინის გზის სადგურამდე დღეს, კვირას, საღამოს 6 ½ საათზე.

---

გაზეთი „ცნობის ფურცელი" წლის დამლევამდე

**ღირს 2 მანათი**

---

**კრება დრამატ. საზოგადოებისა**

დანიშნული პარასკევს, 25 სექტემბერს, რადგან საკმაო წევრთა დაუსწრებლობით არ შესდგა, ამიტომ იგივე კრება დანიშნულია **კვირას, ოქტომბრის 4-ს**, შუადღის 12 საათზე, სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში.

კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კენჭის ჩამოტარების უფლება იმას მიეცემა, ვისაც წლის საწევრო ფული აქვს შემოტანილი.

---

ახლად გამართული რესტორანი

**„იუჟნი ნომერა"**

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე

ყოველთვის იშოვება მშვენივრად გემოიანად გაკეთებული

სადილ-ვახშამი და საუზმე

ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთა

რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები

იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით

**ფასი ყველაფრისა იაფია**

(30—29) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины ✦

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

---

**წიგნის მაღაზია**

**მიხეილ გაჩეჩილაძისა**

(იგივე **„გლეხის"** ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **ქ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—11)

---

„ცნობის ფურცლის"

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ახლად გამოსული ისტორიული რომანი აფხაზების ცხოვრებიდან

დ. მორდოვცევისა

**ამირანის შვილნი**

მთარგმნელმა, ბ-ნმა **თ. სახოკიამ**, შესაძლებლად დაინახა „ცნობის ფურცლის" ხელის-მომწერთ მანეთის მაგივრად **70** კაპ. დაუთმოს. ქალაქ გარეშე მცხოვრებ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ გამოგზავნონ ფულის მაგივრად ფოსტის მარკები რედაქციაში ბ-ნ თ. სახოკიას სახელობაზე.

ვინც 30 ცალს ერთად იყიდის, „ამირანის შვილნი" თითო 60 კაპეიკად დაეთმობა.

ამასთანავე ვაუწყებთ პატივცემულ მკითხველთ, რომ „ამირანის შვილნი" გასასყიდად მარტო 100 წიგნია.

---

**ქუთაისი**

ქალაქის თეატრში

შაბათს, 10 ოქტომბერს 1898 წ.

ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავის სასარგებლოდ

გამართული იქნება:

I

პირველი მოქმედება ოპერისა

**ნორმა**

II

ორი უკანასკნელი მოქმედება ოპერის

**ტრავიატა**

უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი მნელამისა და ტენორი ბ-ნი **კოვალენსკი**

---

**ექიმი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.

Михайловская, противъ кирки.

(100—48)

---

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. მოწამისა

**ალექსის ღვთის კაცისა**

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

**ფასი ერთი შაური** (10—1)

---

**ექიმი თუმანოვი**

ღებულობს ავადმყოფებს ქალების სატკივრით ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

მადერის ქ. № 6, სახ. ვარლამოვისა

Д-ръ Тумановъ

Куки. Мадеровская ул. № 6.

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

**ბენკლევსკი**

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. გ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გორგაძე**. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-

ბის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **დრამ. საზოგადოების კრება** დანიშნულია დღეს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის ხუთი წევრი. რადგან ეს კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

*** **ახალი სადგურის დაარსება.** სახაზინო რკინის გზების მმართველობამ კითხვა აღძრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფოთის განყოფილების მე-27 ვერსზე პატარა სადგურის ქვალონის დაარსების შესახებ. მმართველობას უკვე მოუთხოვნია ამ სადგურის აშენების ხარჯთ-აღრიცხვა.

*** **მასწავლებლობის წოდების მიღება.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მოწმობა მისცა ს. მ. კობიაშვილის ასულს შინაური მასწავლებლის და ა. ე. არვიაშვილს დასაწყისი სკოლის მასწავლებლის წოდებაზე.

*** **ქართველი სტიპენდიანტი.** კავკასიის მთავარ-მართებლის ნებართვით, პეტერბურგის უნივერსიტეტის კავკასიის სტიპენდიანტად, სხვათა შორის, დანიშნულ იქმნა ერთი ქართველიც, კონსტ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც დაამთავრა წელს ტფილისის 1-ლ გიმნაზიის კურსი.

*** **რეალურ სასწავლებლის საქმე.** სახალხო განათლების სამინისტრო დეკემბერში განიხილავს იმ კითხვას, მიეცეთ თუ არა რეალურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულ მოწაფეთ უნივერსიტეტში შესვლის ნება. („ნ. ო.“)

*** **ქალაქის საბჭოს დადგენილების დამტკიცება.** მთავარ-მართებელმა თავ. გოლიცინმა უკვე დაამტკიცა ტფილისის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ქალაქის ახალ სამ სკოლას და იმ ქუჩას, რომელიც ეგზარხოსის მოედანს სიონის ქუჩასთან აერთებს, ეწოდოს ერეკლეს სახელი.

*** **ახალი დანიშნულება.** ქვეითა რაზმის პორუჩიკი ს. მ. ბობროვსკი დანიშნულ იქმნა განჯის პოლიცმეისტერად.

*** **თ. გ. თარხნიშვილი.** გაზ. „კავკაზ“-ს აუწყებენ ქ. ახალქალაქიდან, რომ უეცრად გარდაიცვალა მაზრის უფროსი თ გიორგი ალექსანდრის ძე თარხან-მოურავოვი, რომელიც კარგად ცნობილი იყო ქართველ საზოგადოებაში.

*** **ყაჩაღის ალი ბეგ მურსაყულოვის ბრბო.** როგორც გაზ. „ტ. ფ.“ იუწყება, ყაჩაღის ალი-ბეგმურსაყულოვის ბრბოს კიდევ გაუძარცვია მგზავრები, ახალშენის მეფურგუნეები და ორი ფურგუნით მიმავალი მგზავრები, რომლებისთვისაც ერთი საუკეთესო ცხენი წაურთმევიათ. მგზავრები მიდენილან ახალშენის ეკატერინოფელდიდან სოფ. არუხლოსაკენ. ეს ამბავი უცნობებიათ ბორჩალოს მაზრის უფროსისთვის 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე. იმ წამსვე მაზრის უფროსი გაემგზავრა ყაჩღებით და ჩაფრებით იმ ადგილას, სადაც გაძარცვა მომხდარიყო.

მაზრის უფროსი ღამის 4—5 საათზე მოვიდა სოფ, არუხლოში; განკარგულება მისცა და გაგზავნა ოსეფიანცი ჩაფრებით ხრამის ხეობისკენ, სადაც ყაჩაღების ბრბო ეგულებოდა, სოფ. კოსალაროს მახლობლად (ტფ. მაზრა).

ბ-ნი ოსეფიანცი მაშინვე ცხრა ყაზახით გაემგზავრება ყაჩაღებისაკენ. მაზრის უფროსი-კი იმ ადგილის დასათვალიერებლად წავიდა, სადაც გაძარცვა მომხდარიყო, ს. ტაშტიკულიარის სასაფლაოსთან, და სადაც ეკატერინოფელდის ბოქაული ეგულებოდა, რომლის შემწეობით უნდოდა მიეგნო ყაჩაღების კვალისათვის როდესაც მაზრის უფროსი ბოქაულისაგან ცნობებს ჰკრებდა, ამ დროს მოიჭრა ერთი კაცი, რომელმაც ოსეფიანცისაგან ამბავი მოუტანა, რომ ყაჩაღებთან სროლა გვაქვსო. მაშინვე მაზრის უფროსი, ბოქაული და ჩაფრები კვალს მიჰყვნენ და მივიდნენ იმ ადგილას, სადაც სროლა ჰქონდათ გამართული. რასაკვირველია, ყაჩაღების ბრბო შეშინდა და ხშირ ტყეებში მიიმალნენ. ბინაზე დარჩათ ცხენები, რომლებშიაც ის ცხენებიც ერივნენ, რომლებიც წინა დღით მგზავრს სომეხს და ახალმოშენე მეფურგუნეებს წაართვეს; გარდა ცხენებისა ყაჩაღებს დარჩათ: ერთი ბერდანის თოფი, ორი თოფის მოსაშლელი, პატრონები, ორი ხურჯინი, რომლებიც ახალი ტანთსაცმელებით იყო სავსე. ყაჩაღების ბრბოში დაჰქრილა ერთი, რომელიც მასანაღათ იცვნეს. ხოლო დარჩენილებშიკი ერთი მსუბუქად დაიჭრა. ყაჩაღების ერთი ცხენი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს, მესამემ-კი მხედარი გადმოაგდო. ეს ცხენი პოლიციამ დაიჭირა. ეს ის ცხენი აღმოჩნდა, რომელიც 15 სექტემბერს ენიკოლოპოვის მამულიდან გაიტაცეს. ამ ცხენს ძვირფასი უნაგირი ედგა, რომელიც შარშან ს. ხციხში (გორის მაზ.) თ. ციციშვილის სახლის გაძარცვის დროს წაიღეს. ყაჩაღებს დარჩათ კიდევ ერთი ბერდანკა, პიპოდი, სამი თალათინი პატრონებით, ორი ნაბადი, ორი ხურჯინი შიგ სხვა და სხვა ნივთებით.

ამ რიგათ ამ სროლაში ყაჩაღების ბრბომ დაჰკარგა სუყველაფერი, დარჩნენ ქვეითები ერთი თოფის ამარად.

*** **ამ დროინდელი გაიძვერობა.** ხუთშაბათს 1 ოქტომბერს იარმუკაში, ხილის მოედანზე შემდეგი ამბავი მოხდა: ბაყალი ჩითახოვი ევაჭრება ხილის გამყიდავს ნიკო აფრიდონისძეს სამს ყუთ ატამს, ამათი მომრიგებელი არის ვიღაც ევროპიულად ჩაცმული კაცი, როგორც იქნება მოარიგებს და მიაყიდვინებს ნიკოს ერთ თუმნათ ამ ყუთს ატამს. ჩითახოვი ეუბნება აფრიდონიძეს:

— ხომ იცი სადაც არის ჩემი დუქანი?

— ვიცი როგორ არ ვიცი, ვა, დღეს ხომ არ გიცნობ!

— წავიღებ ატამს, მემრე მოდი, ფული და ცარიელი ყუთები წაიღე, არ მენდობი?

— მიირთვი გენაცვა, სამი ყუთი კი არა, გინდა სულაც წაიღე!

„ჩითახოვი“ წაალებინებს ატამს. საღამოზე მიდის აფრიდონიძე ფულის გამოსართმევად.

— რა ფული? ეუბნება „ჩითახოვი“.

— ატმისა.

— აკი წეღან შენს ამხანაგს გამოვატანე.

— რომელ ამხანაგს?

— რომელს და გომელს! მე რა ვიცი რომელს, აი „შპანცკურად“ რომ იცვამს.

— კაცო, ის ხომ შენთან ერთად მოვიდა!

— რას ამბობ? ჩემს სიცოხლეში არ მინახავს, მოვიდა და მითხრა, წეღარ რომ ატმები წამოიღე, ცარიელი ყუთები და ფული მომეცით, უნდა ჩემს ამხანაგს წაუღო, მეც ავდექი და მივეცი ფულიც და ყუთებიც.

— არც მე ვიცნობ! მე მგონია შენთან მოვიდა-მეთქი!

აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ბევრი ეძებეს, მაგრამ კვალიც კი ვეღარ იპოვნეს „შპანცკურად“ ჩაცმულისა!

კოლა

*** **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ პატარა წიგნაკი „ცხოვრება ღირსისა ალექსის ღვთის კაცისა“ მეორედ გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძის მიერ. წიგნში სურათი არის ჩართული, შეიცავს 32 გვერდს და ღირს ერთი შაური.

*** **გამომცემელთა საყურადღებოდ.** ბ. არჩილ დარეჯანაშვილის მიერ შედგენილი და ივანე როსტომაშვილისაგან გამოცემული სამეურნეო წიგნები; „ფუტკრის გოვნიერი მოვლა-მოშენება“ და „საბოსტნე მცენარეების თესვა მოყვანა“ უკვე გაყიდულა და ახლა, მოთხოვნილების გამო, ავტორს საჭიროდ უცვნია მათი ხელ-ახლა გამოცემა. ამას გარდა ავტორს შედგენილი ჰქონია კიდევ წიგნი მევენახეობისა და ღვინის დაყენების შესახებ. ვისაც სურს აღნიშნულ წიგნების გამოცემა თავის ხარჯით, უნდა მიმართოს პირობების გასაგებათ ახალციხეში არჩილ დარეჯანაშვილს.

*** **დ. ხობი** (სამეგრელო) **ექიმობა სოფლად.** ხობის გარშემო სოფლებში ძლიერ გავრცელებულია ცრუ-მორწმუნოება. უბრალო რამ სენით რომ გახდეს ადამიანი ავად, ავადმყოფის ჭირისუფალმა იმის მაგიერ, რომ ფერშალს და აფთიაქს მიმართოს, იგი მიდის თუ სადმე მკითხავი (მარჩიელი ეგულება და თითო-ოროლა აბაზები უნდა შესწიროს სამკითხაოს (თუ განთქმული მკითხავი არის, მანეთსაც იღებს). მკითხავის დარიგებას და მისგან მიცემულ სხვადა-სხვა ქვებით და წითელი მიწით წყალში გალესილ წამალს უყურებს სამი-ოთხი დღე და მანამდის ავადმყოფს უწამლოდ სენი თანდა-თან უძნელდება და გადადის სხვა-და-სხვა ავადმყოფობაზე. მერმე მიმართავს ყვავილის-ამცრელს, რომელსაც ყვავილის-აცრის მეტი არა გაეგება-რა (ისინი-კი იმას გაიძახიან უსწავლელ ხალხში—ყველაფერი სენის წამლობა ვიცითო) მათგანაც რომ კმაყოფილებას ვერ მიიღებს გაჭირვებულ ავადმყოფის პატრონი, მერმე მიმართავს ფერშალს და აფთექას, მაგრამ გვიანღა არის მაშინ ავადმყოფის განკურნება სენისაგან. ჯერ ერთი— რაც ებადა ღარიბ გლეხს გაჭირვების დღისათვის, ის მკითხავებმა და ყვავილის-ამცრელებმა გამოცინცლეს ხელიდან და ან ფერშალი რით გაისტუმროს და ან წამალი რით იყიდოს? მეორე—მათს ყურებაში ავადმყოფს ყოველივე ორგანოები უფუჭდება, დამწვარი ხდება სიცხისაგან და აბა ექიმი და წამლობა რაღას უშველის მაშინ?

ახლად დანიშნულმა რედუტ-კალის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა მ. ავალიანმა, რომ შეიტყო ამნაირი გარემოება, რომელიც მეტის-მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად სჩაგრავდა ისედაც გალატაკებულ ხალხს, მაშინვე დაიბარა ყველა საზოგადოების მამასახლისები და გამოუცხადა, რომ აღუკრძალონ იმისთანა მატყუარა მკითხავ-ექიმბაშებს წამლობა და თუ არ დაუშლიათ, წარმოუდგინათ მისთვის. დიდი მადლობისა და ქების ღირსია ბ-ნი ავალიანი, რომ ყოველივე გარემოებას ყურადღებას აქცევს და ხალხს სწორე გზას უჩვენებს. იმედია, ჩვენი სულიერი მამები მიბაძვენ ბ-ნ ავალიანს და თავიანთ სამრევლოში უქადაგებენ ხალხს და მით შთააგონებენ, თუ რა ზიანი მოაქვთ მათთვის მკითხავ-ექიმბაშებს.

ვლ. ძოწენიძე

*** შემოწირულობა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1898 წლის ენკენისთვის განმავლობაში.

1. ყულაბით შეგროვილი სოლომონ დოლიძისაგან 24—24

2. შემოწირულობა პეტრე ნაცვლიშვილისაგან, დავით დოდაშვილის შეგროვილი . . . . . 1—90

# თეატრის მატიანე

—

**სად. საბუნჩა.** ქართული სასცენო-მოქმედო წარმოდგენა. ამ დღეებში ბალახანაში ქართული სცენის მოყვარეთაგან ბაქო-ბალახანის სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ი. ევდოშვილის თაოსნობით „დედა და შვილი“ თ. ი. ჭავჭავაძისა და „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“ ვ. გუნიასი. საერთოდ წარმოდგენამ მოსალოდნელზე უფრო კარგად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში, რომელმაც ძლიერ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება, ცეკვა-თამაშს მოჰყვა ქართული ვახშამი, სადაც წარმოითქვა ბევრი გრძობით სავსე სიტყვა. ნაღდი ფული დარჩა ხარჯს გარეთ 47 მანეთი და 90 კაპ., რომელიც გარდაეცა დანიშნულისამებრ. დიდი მადლობის ღირსია როგორც ზემოდ აღნიშნული მოთავე პირნი, ისე ყველანი ვინც კი მიიღო მონაწილეობა წარმოდგენაში ქქ. ო. კახიანისა, ნ. კანდელაკისა, ბბ. კ. ტუეშელაშვილი, ორბელი, ნ. მარჯანაშვილი, ბარამძე და მასთან ბ. ბენკენდორფი, რომელმაც მუქთად დაუთმო წარმოდგენისათვის თავის „კლუბი“. აგრეთვე ბ. გ. კახიანი, რომელმაც ამ კეთილ საქმისათვის არ დაზოგა არასფერი და რამოდენჯერმე „ჩოჩნიკორიდან“ ჩამოიყვანა ბალახანაში.

სასურველია ბაქოს მცხოვრებ ქართველებმაც მიბაძონ ამ ერთ მუჭა ბალახანაში მცხოვრებ ქართველებს და მასთან წარმოადგინონ ამავე მიზნით ბაქოში, სადაც ერთი-ათად მეტი შემოსავალი ექნებათ, ბალახანის ქართველები კი თავის მხრივ ყოველთვის მზად არიან თანაუგრძნონ ბაქოელებს. ამ წარმოდგენაზე კი ვერ გაგვიმართლეს ბაქოელებმა იმედი. არც ერთი ბაქოელი ქართველი არ დასწრებია წარმოდგენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკა, რომლის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა. ბაქოშია გახსნილი და ბაქოელი ქართველი ერთი-ათად უფრო მეტს სარგებლობენ ვინემ ბალახანის ქართველები.

დიმიტრი მელაძე

—

**ფოთი.** ქართული წარმოდგენა. ნათქვამია, რომ „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ სწორედ ისე მოუვიდათ ფოთის ახალგაზდობას, რომელიც მუდამ იმას ფიქრობდა, რომ რამე გონივრული და საზოგადოებისათვის სასარგებლო რამ მოეგონათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ფიქრი ფიქრათ რჩებოდა, რადგან ყველა შემდეგობას აპირობდა და თაობა კი ყველას ეზარებოდა.

აი თუნდა ქართული წარმოდგენების საქმე მე მგონია, რომ არც ისე ძნელი და მოუხერხებელი უნდა იყოს იმისი გამართვა, რადგან ნასწავლ და საზოგადოების გულ-შემატკივარ ქართველ ქალებთა და ვაჟებთა რიცხვი საკმარისია.

ამ ბოლოს კი ცოტა არ იყოს ყურთა-სმენა დაგვიტკბო და ძილისაგან გამოგვაღვიძა ბ. ბალანჩივაძის ქართულ კონცერტმა, რომელიც იყო გამართული ადგილობრივ ქართულ ახალგაზდობის დახმარებით, ამ ბოლო დროს თითქო ცამ გაგვიცინაო, ჩამობრძანდა ქ-ნი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა და ითავა ქართული წარმოდგენის გამართვა ერთ ღარიბ სტუდენტის სასარგებლოთ. ფოთის ქართველობის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და გულის ძგერით მოელოდა იმ დღეს, როდესაც ადგილობრივ საზოგადო დარბაზში სცენაზე დაინახავს ქ-ნს ნ. გაბუნია-ცაგარლის საუცხოვო და მოხდენილ თამაშს. რამდენიმე ბილეთები თვით სამტრედია-ახალსენაკ-აბაშაში იყო გაყიდული, და რასაკვირველია ყველა მზათ იყო რომ დასწრებოდა ამ წარმოდგენას, მაგრამ აქაც გვიმუხთლა ბედმა და თუმცა უკან ქვა არ მოგვწევია, მაგრამ ისეთი კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომ არამც თუ თეატრში, არამედ თვით გარეთ ფეხის გადადგმაც საძნელო შეიქნა, ამის გამო წარმოდგენა გადაიდო ამ კვირისათვის (4 ნოემბერს).

თეოფილე გურული

# ყურმოკრული საუბარი

—

ერთხელ დიოგენი შეხვდა მეტად სახელ-გატეხილ ქურდს და შეჰკითხა:

— რა ძალღივით შეჰჭამეთ, შეეკითხნენ.

— ქურდი დავინახეო, — უპასუხა.

—

— დამერწმუნეთ, მეცნიერება იქამდისაც მიაღწევს, რომ გილიოტინით ორს ადამიანს თავს მოსჭრიან და უცბად ერთის თავს მეორეს შეუდუღებენ კისერზე ანუ სხვის ტანზე დაამაგრებენ მეცნიერესავით.

— ოხ, ნეტა მართლა მაგრე მოხდეს, რომ ჩემი თავი ჩემს უტვინო ქმრას გამოაბან! — ამოკვნესით წარმოსთქვა პოლკოვნიკის ცოლმა.

— რას ამბობ, ქალო, მაშინ ხომ იმის უტვინო თავს შენ გამოგაბამდნენ?!

— და რა ურიგო იქნებოდა: პოეტებს ხომ უტვინო ქალები უფრო მოსწონთ.

# სხვა-და-სხვა ამბავი

—

ფილოსოფოსთა აზრი დედაკაცის შესახებ.

1. შვილოსნობა — უმაღლესი საგანი და დანიშნულებაა თავისუფალის დედა-კაცისა (ლიკურგი).

2. დედა-კაცის საგანი — ბავშვების აღზრდა და მეოჯახეობაა (ფენელონი).

3. დედაკაცი — დედაა თავდაპირველად (ჰეტე).

4. დედაკაცი — წყაროა ბოროტებისა (სოკრატი),

5. დედაკაცი — ბუნების ცდომილებაა (არისტოტელი).

6. დედაკაცი — ბუნების მშვენიერი ნაკლოვანებაა (მილტონი).

7. რაც უნდა სიმდიდრე მომცენ, მაინც დედაკაცს ჩემს კიდში არ მივიღებ (დიოგენი).

8. დედაკაცი — იგივე უმაწვილია, მაგრამ უუსაყვარლესი უმაწვილი კია (მონტესკიე).

9 შეყვარებული დედაკაცი ან მონაა და ან ბოროტია (ვოვენარგი).

10. დედაკაცი შხამია, რომლით მოწამლა სასიამოვნოა (სულთან-ოდდმეჯიდ).

11. რაც ცაზე ვარსკვლავებია, იმოდენივე სიცრუვეა დედაკაცის გულში (ჰპოკრატი).

12. სიყვარული ცოდვად არა რაცხს არც ერთის, არც მრავალს და არც საყველაოს შეყვარებას (ლერმონტოვი).

13. დედაკაცი გასართობი საგანია (ჟან-ჟაკ-რუსსო).

14. დედაკაცი მხატვრობის ნაყოფია (ლესსინგი).

15. უყვარდეს და იყოს შეყვარებული ბუნებითი დანიშნულებაა დედაკაცისა. დედაკაცის სიყვარული ლამპარია, ლამპარი საოჯახო კერისა, იგი აკვანია მომავლისა, იგი ტრაპეზია (მიშლე).

16. დედაკაცის სიყვარული ჩვენთვის დიდი და შეუდარებელი საქმეა, იგი ისეა ჩვენთვის, როგორც მარილი ხორცისთვის: ასაზღოვებს გულს და იცავს მას სიღამლისაგან. (ჰიუგო).

17. დედაკაცი მფარველი ანგელოზია მამაკაცისთვის ყველა ცხოვრების გზაზე, იგი წარმომადგენელია მშვენიერი სილამაზისა და სიკეკლუცისა, იგი ნუგეშის მცემელია ცხოვრების უბედურებაში და მწუხარებაში, სიხარული და ამპარტავნობაა კაცისთვის (ვის. ვრ. ბელინსკი).

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ოქტომბერი

**ჰელსინგფორსი.** 30 სექტემბერს მოვიდა აქ გენერალ-გუბერნატორი გენერალი ბობრიკოვი. ჩვეულებრივის დახვედრის შემდეგ გენერალ-გუბერნატორი წავიდა მართლ-მადიდებელთა მიძინების ტაძარში, სადაც იმას დაუხვდა და მიესალმა ფინლიანდიის მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი. შემდეგ გენერალი ბობრიკოვი წავიდა ლოტრანგთა წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, სადაც დაუხვდნენ მთავარ-ეპისკოპოსი და ქალაქის სამღვდელოება. ნაშუადღევის 2 ნახევარ სათზე გენერალმა ბობრიკოვმა ინახულა სენატის წევრნი და მთავარ-უწყებათა მმართველნი.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-ადიუტანტმა ბობრიკოვმა ყველა იმის სანახავად მისულთა წინაშე ხმამაღლა და მკაფიოდ სთქვა შემდეგი: „ვკისრულობ რა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას, ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს გამოვუცხადო ფინლიანდიის მცხოვრებთ რუსეთის ხელმწიფის მაღალი წყალობა. ჩვენს ხელმწიფეს მოეხსენება ერთგულება ფინლიანდიის ერისა, მაგრამ მისმა უდიდებულესობამ უწყის, რომ, სამწუხაროდ, აქ გავრცელებულია შემცდარი აზრი იმ წესის შესახებ, რომელზედაც დამყარებულია დამოკიდებულება ფინლიანდიისა რუსეთის იმპერიასთან. ამ მავნე აზრის გამო, ზოგიერთ ფინლიანდიელთა შორის ყოველთვის არ გამოჩენილა საკმაო თანაგრძნობა ღონისძიებათა მიმართ, რომელიც მიმართულია ამ ქვეყნისა და რუსეთის იმპერიის სხვა ქვეყნების შორის კავშირის გასაძლიერებლად. რუსეთი ერთიანი და განუყოფელია, ვითარცა ერთიანია და განუყოფელი იმპერატორის ტახტი, რომლის ტალავარს ქვეშეთს დიდმა სამთავრომ მიაღწია აწინდელ კეთილ დღეობას. ამიტომ საფიქრებელია, რომ ყოველი ფინლიანდიელი, რომელსაც კი ძვირად მიაჩნია თავისის სამშობლოს ინტერესები, უნდა სცდილობდეს რუსეთთან შეერთებას და ეს უნდა იყოს მისი ბუნებრივი გრძნობა, მით უფრო უნდა განმტკიცდეს ეს გრძნობა ეხლა, მას შემდეგ, რაც ხელმწიფე იმპერატორ-

მა ჩემს სახელობაზედ მიბოძა ბრძანება და თვითვე აღნიშნა, რომ საჭიროა ძვირფას ფინლიანდიის მკვიდრთა შორის დამკვიდრდეს მისი შეგნება, თუ რამდენად საჭიროა მჭიდრო ერთობა ამ განაპირისა შუაგულთან, ისე კი, რომ ხელ შეუხებლად იქმნას დატოვებული, როგორც ეს აღნიშნულია 1891 წლის უმაღლეს ბრძანებაში, ფინლიანდიის განსაკუთრებული წესები, მისი საეკკლესიო წეს-რიგი, უფლებანი, უპირატესობანი და წესები შინაგანის მმართველობისა, რასაკვირველია, იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება სარგებლობასა და ღირსებას რუსეთისას; სახელმწიფო უფლებანი ნებას არ მისცემს გავრცელებას ყველა იმისას, რაც ხელს შეუშლის ამ მხრივ დიდ სახელმწიფოსთან შეერთებას. ამიერიდგან უთვით-მპყრობელესის ნებით ჩემდა განსაგებათ რწმუნებული ფინლიანდია ჩემთვის ძვირფასი იქნება და სიხარულით მოვანდომებ ჩემს ძალ-ღონეს იმის ჭეშმარიტ ინტერესების სამსახურს, მხურვალედ შევუწყობ ყველა კეთილს დაწყებულებას და მხარს დავუჭერ ყოველს სამართლიანს და კანონიერ საქმეს. მე ჩემ თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ამ მხრით ჩემს მმართველობის დროს ფინლიანდიის ერი, რომელსაც არა ერთხელ დაუმტკიცებია ერთგულება თვისთა ხელმწიფეთა, ეხლა მაინც შეიგნებს რუსეთის მიმართ კეთილისა და გულ-მართალის დამოკიდებულების აუცილებელს საჭიროებას, რადგანაც ჩვენში ყოვლად შეუძლებელია ხელმწიფის ერთგულება განვუშოროთ მთელის იმპერიის ერთგულებასა. მთელის თვალ-უწვდენელის რუსეთისათვის, ხელმწიფის ძლიერის სკიპტრას ქვეშ მყოფ ყველა ერთათვის—უნდა იყოს ერთი და იგივე ერთგულება და ერთი და იგივე სიყვარული საერთო სამშობლოსი ღმერთიმც შეგვეწიოს წმინდად შევასრულოთ სურვილი თვით მპყრობელის ხელმწიფისა და ერთგულად ვიმსახუროთ ძვირფასის რუსეთის საკეთილდღეოდ. სრული იმედი მაქვს, რომ მუდამ და ყველაფერში დამეხმარებით და განსაკუთრებით, იმედი მაქვს, იმათის საერთო დახმარებისა, ვინც ჩემს მახლობელ თანაშემწებად ითვლება საიმპერატორო სენატში. მაშასადამე მღვთისა შეწევნით, კეთილი იყოს ეს საათი“.

**პოტსდამი.** 29 სექტემბერს, ღამის 11 საათზე, იმპერატორი და იმპერატრიცა თვისის ამალით კამენეცში მობრძანდნენ.

**ნიუ-იორკი.** 29 სექტემბერს ამერიკელებმა დაიწყეს ჯარების ჩაყენება კუბას კუნძულზე და დაიჭირეს მაზანილიო. ამართულია ამერიკის დროშა, ქალაქის მმართველობა, ესპანელთა სურვილის მიუხედავად; გარდაეცა ამერიკელებს. ამერიკელთა იმ კომისიის წევრებმა. რომელსაც ჩაბარებული აქვს კუბას კუნძულის დაცლა, განაცხადეს, რომ კუბას მმართველობას ჩაიბარებენ 1 დეკემბერს, ხოლო პორტორიკოსას—18 ოქტომბერს.

**სტამბოლი.** გუშინ საღამოს ოთხის დიდის სახელმწიფოს საელჩოებს გარდაეცა პორტასაგან ნოტას პასუხი. პორტა თანახმაა ყოველივე აასრულოს, მხოლოდ ზოგიერთს სურვილს განაცხადებს.

**სტამბოლი.** პორტამ კრიტში ბრძანება გაჰგზავნა, რომ კუნძული განათავისუფლეთ ოსმალეთის ჯარებისაგანაო. კრიტიდგან მოსულ ამბებიდგან სჩანს, რომ ადმირალ პოტიეს, მიუწვევია რა მაჰმადიანთა წარმომადგენელნი, რათა ეუწყებინა ამბავი ოსმალეთის ჯარის გასვლისა, თან დაურთავს, რომ დიდნი სახელმწიფონი ეცდებიან უზრუნველ ჰყონ მაჰმადიანთა უშიშროება, ხოლო ამ მფარველობას მოაკლდებით, თუ თავს დაეცემით საერთაშორისო ჯარს, ან სხვა რამ ძალ-მომრეობას მოიქმედებთო. დიდძალი მაჰმადიანნი იქიდგან აყრას აპირებს თურმე.

**სტამბოლი.** გენერლებმა ოსმანნური-ფაშამ და საშიფ-ფაშამ ბრძანება მიიღეს კრიტში წასვლისა, რომ საჭირო სამზადისი გასწიონ ამ კუნძულიდგან ოსმალეთის ჯარის გადასაყვანად.

**პეტერბურგი.** 30 სექტემბერს დიდი თოვლი მოვიდა, რომელმაც აუარებელი ზიანი მისცა ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი გორემიკინი მოუსავლობით დაზარალებულს გუბერნიებში აპირებს წასვლას იმ განზრახვით, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს რამდენად საჭიროა დახმარება.

**პარიზი.** სენის პრეფექტმა ინახულა პარიზის ქალაქის სამუშაოთა მოიჯარადრების წარმომადგენლები. მოიჯარადრეები დასთანხმდნენ წინადადებას და პირობა დასდეს, საათში 60 სანტიმი აძლიონ მუშებს.

**რამბულიე.** მოვიდა გენერალი კუროპატკინი და ფორი ნახა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა მის პატივ-საცემლად სადილი გამართა. გენერალი კუროპატკინი შემდეგ პარიზში დაბრუნდა.

**ქრისტიანია.** სტორტინგი მოწოდებულ იქმნა დღეს. მინისტრ-პრეზიდენტმა სტენმა სეფე-სიტყვა წაიკითხა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მეფე სიხარულით შეუერთდა რუსეთის იმპერატორის სამშვიდობო წინადადებას. შემდეგ ნათქვამია: „რუსეთმა წინადადება მოგვცა გადათვალიერებულ იქმნას საჭირო ხელ-შეკრულობანი რუსეთისა შვეცია-ნორვეგიას შორის დადებული. ნორვეგიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა მოლაპარაკება გაიმართოს ნორვეგიასა და რუსეთს შორის დასადებ განსაკუთრებულ ხირობათა შესახებ.

2 ოქტომბერი

**ნიუ-იორკი.** რადგან მრავალი ზანგი მოვიდა ვარდეყში, იმ მუშების ნაცვლად, რომელთაც მუშაობა აღკვეთეს, ქვა-მადაროებში მომუშავეებისა, რიცხვით 1,500 კაცისა, და პოლიციელებს შორის ბრძოლა მოხდა. ორსავე მხარემ სროლა დაიწყო. 8 კაცი მოკლულ იქმნა, 30 დაიჭრა.

**პარიზი.** ამბობენ, რომ გარდასწყვიტეს პიკარი განათავისუფლონ სიყალბისათვის ბრალდებისაგან და ბრალი დასდონ მხოლოდ იმისა, რომ სხვის მიერ ჩადენილის სიყალბით სარგებლობდაო. პიკარი უწინდელებრ ყველა ბრალდებებს უარსა ჰყოფს. გამოძიებამ აღმოაჩინაო, ამბობენ, რომ მთავარ შტაბის რამდენმამე აფიცერმა უწყოდა პიკარის მეცადინეობა, რათა ესტერგაზი გამოსტეხოსო. მათ მოსწონდათ პიკარის ასეთი საქციელიო.

**ვენეცია.** გერმანიის იმპერატორი მეუღლითურთ აქ მოვიდა; თან ახლავს სტატს-სეკრეტარი, ბიულოვი. სადგურზედ დახვდნენ მეფე და დედოფალი მინისტრებითურთ.

**სტამბოლი.** სახელმწიფოთა ულტიმატუმის საპასუხოდ პორტამ განაცხადა, რომ ბრძანება გაეცა კრიტიდგან ოსმალეთის ჯარის გაყვანის შესახებ, იმ რაზმების გარდა, რომელთაც სიმაგრეებში დასტოვებენ სულთანის უზენაესის უფლებათა ნიშნად.

**ვენეცია.** გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა, საუზმის შემდეგ, „გოგენცოლლერნის“ გემზედ წავიდნენ იტალიის მეფესა და დედოფალთან ერთად. მეფემა და დედოფალმა გემზედ ერთი საათი დაჰყვეს. როდესაც უკან დაბრუნდნენ, „გოგენცოლლერნი“ ზღვაში წავიდა.

ნიხრი,

დამტკიცებული 12 აგვისტოს

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი 1 ხარისხ. | | 7 | კ. |
| სუკი გირვანქა | „ „ | 12 | კ. |
| ცხვრის ხორცი | „ „ | 8 | კ. |

# განცხადებანი

!ყველას საყურადღებოდ!

ჩემს ახლად გახსნილ

სამღებროში

ვღებულობ შესაღებად ჩოხებს, კაბებს, ჩალღოხებს და სხვ.

ფასი იაფად, შესრულება სწრაფად

მუხრანიანთ ქუჩა, მუხრან-ბატონის ახალ სახლებში.

(3—1) პატივისცემით ბუხრამე

დვინის სარდაფი

„იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას“ ქვეშ, სახალი თეატრის გვერდზე.




ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

„იყალთო“

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

Винный складъ Князей Г. и Л. Макаевыхъ

подъ фирмой

„ИКАЛТО“

Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ан-тонова, подъ гост. «Россія» (75—26)